წელიწადი I-ლი

შაბათი, 2 ოქტომბერი

ფასი 15 მ.

# ბათომის ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურა 300 მან.

განცხადების ფასი:

1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი 30 მან.

4 " " " 15 მან.

სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთად.

რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზედ № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შმაევსკის სტამბაში 1 საათ. საღ. 5 ს.

№ 18 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 18

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“

ნ. დ. ბრაგალ-სხირტლაძის

შაბათს 2 ოქტომბერს მიდის განთქმული მსოფლიო სურათი

**ბუფალოს დღეობა**

კინო-დრამა 5 დიდ ნაწილად. განსაცვიფრებელი მოქმედებანი ქვეყნიერებაზე ულონიერესი კაცის ბუფალოს და მისი ერთგული მეგობრის, [illegible] ყველაზე პატარა ქონდრის კაცისა ქვეყანაზე, ბილიასი.

დასასრულს **დაბურებული არშიყი** სასაცილო

ანონსი: იქნება ნაჩვენები შემდეგი ახალი სურათი

**როგორ იხოცებიან ლითონისათვის**

(საშინელების ბრჭყალებში)

დრამა 3 განყოფილებით, განთქმული მსახიობი გედი ვერნოვის და ალვანა ნეისის მონაწილეობით და ვილდი ცეინის რეჟისორობით.

გაათკეცებული ყურადღება! მზადდება და მალე ვაჩვენებ „აპოლოში“ თანამედროვე კინემატოგრაფიის შედევრს, გრანდიოზულ სურათს 12 განყოფ. და 80 ნაწილით **ცეცხლის თაყვანისმცემლები.**

ღია ჰაერზე, ახალი სპეციალური საზაფხულო ელექტრო თეატრი

„ტ რ ი უ მ ფ ი“

ნ. ბროვალ-სხირტლაძის

სურათები იჩვენება ყველა ნაირ ამინდში, სურათების ჩვენების დროს უკრავს პირველი ხარისხის მუსიკა, რომელთაც ხელმძღვან. ტრიო რუდკოვსკი

შაბათს 2 ოქტომბერს 1920 წელს წავა ახალი სურათი

**ოჯახის შემ. ერთგბელი**

მელოდრამა 3 განყოფილებათ, უმთავრეს ქალიშვილის როლს შეასრულებს სუსანა პრივა.

**მე მინდა, მე შემიძლია, დაკიდეც უნდა გავიმარჯვო**

მხიარული კომედია 2 ნაწილათ, ცნობილი ეკრანის მსახ. მონაწილეობით.

გაათკეცებული ყურადღება! მზადდება და მალე ვაჩვენებ „აპოლოში“ თანამედროვე კინემატოგრაფიის შედევრს, გრანდიოზულ სურათს 12 განყოფ. და 80 ნაწილათ

**ცეცხლის თაყვანისმცემლები.**

## საქართველოს ეროვ.-დემ. პარტია

ბათუმის კომიტეტი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა აცხადებს პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოთ, რომ **კომიტეტის ბინა და პარტიული ბიურო მოთავსებულია შეპელევის ქუჩაზე კომერციული კლუბის შენობაში.**

თანახმად კომიტეტის დადგენილების ყველა წევრთათვის სავალდებულოა ხელახალი რეგისტრაცია, ახალი წევრებს კი მიიღებენ ორი წევრის რეკომენდაციით.

ბიურო ღიაა დილის 10—12 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. 3—2

შაბათს, 2 სექტემბერს საღამოს 7 საათზე

საკრებულო დარბაზში

დამფუძნებელ კრების წევრი ბ. ფ. თევზაია წაიკითხავს ლექციას ქართულ ენაზე შემდეგ თემაზედ:

**საქართველოს შინაური და საერთაშორისო მდგომარეობა.**

ბილეთების ფასი 300—100 მანეთამდე. შესავალი 50 მან.

**საქართველოს სოც. დემ. მ. პარტიის ბათ. კომიტეტი**

აცხადებს რაიონულ კოლექტივების და ცეხების საყურადღებოთ, რომ კომიტეტის ბიურო მოთავსებულია ყოფილ საკონსულოში საბაევის სახლში. მუშაობა ბიუროში სწარმოებს დილით 9—1 და საღამოს 5—8 საათ.

კომიტეტი სთხოვს ზემოხსენებულ ორგანიზაციებს სასწრაფოთ მოგვაწოდოს შემდეგი ცნობები:

ყველა კოლექტივების და ცეხების პრეზიდიუმის შემადგენლობა, სახელი და გვარის აღნიშვნით, მათი მისამართი, როდის და სად იმართება კრებები. პარტიის წევრთა რაოდენობა ცეხებში, ცეხების სახელ-წოდების აღნიშვნით, თანხების მდგომარეობა.

კომიტეტის კრებები იმართება ყოველ პარასკეობით 5 საათიდან.

კომიტეტის მდივანი.

## ბათუმი 2 ოქტომბერი.

გუშინდელ ჩვენს გაზეთში დაისტამბა „ხმა ოლქიდან“, გულის ნადები ქართველ მუსლიმანის.

ქობულეთის გარეშემო სოფლებში, იწერება დაკვირვებულ ბ-ნი ს. კაიკაციშვილი, ისევ გრძელდება ხალხის მოწამვლა, აფურადდა პროვოკაციის ქსელი, სიტყვის სპეკულიანტები და გრომი ფარის მონები არწმუნებენ ხალხს, რომ საქართველოს ოსმალეთთან მძაფრი ომი აქვს, სადაც არის ოსმალეთა ჯარი უნდა შემოვიდეს, აწერენ ხალხს გადასახადს, კრავენ ბანდურ ორგანიზაციებს და სკოლებს აკეთებენ, პოლიტიკურ სააგიტაციო ინსტიტუტად, საიდანაც სდევნიან სახელმწიფო ენას.

ეს რა ამბავია? სჩანს ჩვენს თვალწინ ინტენსიურად მუშაობს გარეშე მტრის ხელი, ეტყობა ისევ იგზავნება მილიონები ოლქის ასარევ-დასარევად. ირკვევა, რომ პოლიტიკური აგენტები ამა თუ იმ ქვეყნისა კვლავ სუფევენ ოლქის წიაღში. ემჩნევა, რომ ხალხი საყოველთაო სიფხიზლეს ჯერაც არ მისცემია, ასეთი ვითარება საბოლოო შედეგისთვის ზედაპირზე ახალ ახალი ავანტიურების ამოტივტივებას გვპირდება.

გასაკვირი არ იქნება რომ ეს ასე მოხდეს, ვინაიდან მოთრეულს, შორეულს, არ ენაღვლის თუ ეს მხარე აწიოკდება და დაიღუპება, მით უმეტეს მაშინ, როცა ამ მოსულს ადგილობრივი ბრიყვი მკვიდრი თვალ ჭუტია მისდევს. ყოველ მწარე მოვლენის პასუხისმგებელი ჩვენ ვიქნებით, დამნაშავის სკამზეც ჩვენ დავჯდებით თუ ოლქს ახალი განსაცდელი დაატყდა თავს. ამისათვის ჩვენი ვალია ერთ დაკვრით, მოუღოთ ბოლო სამარცხვინო ყოფას.

ოლქის მთავრობამ ულმობელ ზომებს უნდა მიმართოს ექსკურსანტ ემისრების ასალაგმავად და დასასჯელად.

ახლო წარსულის მწარე გაკვეთილი ნუ დაგვავიწყდება, მახსოვრობაში ცოცხლობდეს ქობულეთის ავანტიურის გუშინდელი საზარელი ეპიზოდი, რომელიც ჩვენი გულცივობით და პასივობით იყო შექმნილი.

დღეს ვერ მოხდება ამის მსგავსი რამ.

ოლქიდან უნდა გაძევებულ იქმნან ყველა არა საქართველოს ქვეშევრდომნი, სოფლებში რომ დაძვრებიან და ემიგრანტის სახელს რომ ატარებენ.

ოლქი უნდა განთავისუფლდეს ყველა ოდნავ ეჭვის მომგვრელ პირისაგან.

ამასთან ერთად ჩვენ უნდა დავიწყოთ გაძლიერებული, ელექტრონის სისწრაფის მქონი მოქმედება ხალხში საყოველთაო განათლების და სინათლე—თვითცნობიერების შესატანად.

ეს უნდა ვქნათ ჩვენ, თუნდაც ამისთვის საჭირო გახდეს განსაკუთრებული ხარჯების გაღება და ზედმეტი შრომა—ენერგიის დახარჯვა.

ჩვენი მუშაობის აპარატი უნდა მიიმართოს ოლქისკენ.

მეტი მზრუნველობა და ყურადღება სოფლურ სამუსლიმანო საქართველოს.

## პროფესიონალურ კავშირების მოვალეობანი.

პროფესიონალური კავშირები მუშების კლასიური ორგანიზაციაა, აქ შეკავშირებული მუშა უპირდაპირდება თავის დამქირავებელს და ბრძოლით ხელიდან გლეჯს იმ უფლებებს, რომელიც მუშას დიდი ტრადიციით აყარა. აქ იწრთვება მუშის გონება, აქ ეყრება საფუძველი მუშათა კლასის სოლიდარობის, აქ ირკვევა მისი მიზნები, აქ იჭედება მუშათა კლასის სოლიდარული გრძნობა.

პროფესიონალური მოძრაობის ბუნება უნებურად ერევა მუშებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლიდარულ შეგნების გზაზე და ამიტომ პროფესიონალური კავშირების მნიშვნელობა მუშათა მოძრაობის მსვლელობაში დიდი და დაუფასებელია.

მაგრამ დღეს, როდესაც მსოფლიო ომმა დასცა ქვეყნების ეკონომიური კეთილდღეობა, დიდი ცვლილება შეიტანა მასის სულიერ განწყობილებაში და მრავალ გვარი საშიში უკუღმართობა წარმოშვა პოლიტიკურ აზროვნებაში, მუშათა კლასის პროფესიონალურ კავშირების მნიშვნელობა არა თუ გაიზარდა, მისი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ბედის ტრიალში თითქმის გადამჭრელია.

მსოფლიო ომმა წარმოშვა რუსეთში რევოლიუციური მოძრაობა, რომელიც, საუბედუროთ, სამოქალაქო ომში გადავიდა. დღეს რუსეთი სამხედრო ბანაკს წარმოადგენს, მტერი ებრძვის მტერს, მაგრამ მოყვარეთა შორის მტრობა ატეხილა. უშიშნო ბრძოლა, უაზრო ხოცვა-ჟლეტა, აი დღევანდელი რუსეთის ნამდვილი სურათი. მისი აჩრდილი ჩვენც თავს დაგვტრიალებს; მართალია, ჩვენი შეგნებული და შეკავშირებული დემოკრატიის საშვალებით ჩვენში ჩაიკლა სამოქალაქო ომი დაწყების სურვილიც, მაგრამ ერთი დიდი საზიანო პსიქოლოგიური ცვლილება, რომელიც თან სდევს ცხოვრების ფორმის ძირეულ ცვალებადობას, გრძნობა უპასუხისმგებლობისა, დაუდევრობისა და განსაკუთრებით სიზარმაცისა თან დაგვყვა.

ცულდუტობს მოხელე, გულაცრუებულათ/ასჩერებია ქაღალდს, იტაცებს და ფლანგავს ხალხის ქონებას, თაღლითობს ვაჭარი და გამდიდრების ჟინით შეპყრობილი შეგნებულათ ღვამშიჭებს, რომ მერმეთ მოხერხებულ დროს მშიერს ბევრი აგვაძროს, გაგვატყაოს. სახელმწიფოს აპარატი სტუქსავს მოხელეს და მას პასუხისმგებლობის გრძნობას უნერგავს, სახელმწიფო ებრძვის სპეკულიაციას სხვა და სხვა სახელდახელო ზომებით და სპეკულიანტების თარეშს ანელებს. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი უბედურება შრომის ნაყოფიერების დაცემაა.

ჩვენში რვა საათის სამუშაო დღე არის დაკანონებული. ერთი უმთავრესი სურვილი მუშათა კლასის განაღდებულია და მისი სასტიკათ დაცვა უზრუნველყოფილია. ქვეყანას აქვს უფლება მოსთხოვოს მუშას ამ ხნის განმავლობაში თავის მოვალეობების პირნათლათ შესრულება. მართალია, კაპიტალისტი არის დაინტერესებული, რომ მუშის ენერგიის ინტენსიური ხარჯვით აინაზღაუროს სამუშაო დღის შემცირება, მაგრამ ისიც მართალია, რომ ქვეყნის მდგომარეობა და ნათლათ შეგნებული მუშათა კლასის ინტერესები მოითხოვს საწარმოვო ძალების გაშლას, გაძლიერებას. მით უმეტეს დღეს, როდესაც ყველაფერი დანგრეულია, ძველი სიმდიდრე განიავებულია, ქვეყნის საწარმოვო ძალები დაგლეჯილია, გვმართებს ზრუნვა გაათკეცებული ენერგიით აღვადგინოთ წარმოება, შევქმნათ ნივთიერი ღირებულებანი და ეს შესაძლებელია მხოლოთ შრომით და მისი საშვალებით. შრომაა წყარო სიმდიდრისა, მხოლოთ შრომა მოგვცემს ყველაფერს. ვერავითარი ადმინისტრატიული ზომები ვერ შეგვთავაზებს პურს, ვერ გაგვიჩენს საქონელს, ვერ შეგვმოსავს.

შრომის ნაყოფიერება დაეცა, ეს უბედურებას გვიქადის; შრომის ნაყოფიერება უნდა გავაძლიეროთ, ეს უბედურებას აგვაცდენს, ბედნიერებას მოგვანიჭებს. აქ დიდი როლი პროფესიონალურ კავშირებმა უნდა ითამაშოს. მათ უპირველეს თავის მოვალეობათ უნდა დაისახონ შრომის ნაყოფიერების აღდგენაზე ზრუნვა. მათ სასტიკი კონტროლი უნდა გაუწიონ ყველას, უნდა გამოძებნონ ზომები, რომლებიც შრომის ნაყოფიერებას გაზრდის. აქ მათ სიტყვას, კონტროლს დიდი მნიშვნელობა ექნება. პოპულიარული ლექციები, ბაასი ეკონომიურ პრობლემებზე, წამახალისებელ ზომების გამოძებნა — ყველა ეს მასალებია. პროფესიონალური კავშირები დიდ სამსახურს გაუწევენ ქვეყანას, თუ ამ მოვლენას სათანადო ყურადღებას მიაქცევენ და ისე მედგრათ შეებრძოლებიან ამ სენს, როგორი სიმტკიცით ისინი პოლიტიკურათ იბრძოდენ.

მუშათა კლასი ავანგარდია ჩვენი ქვეყნის, ეკონომიურ სფეროში პირველობა მას ეკუთვნის, აქაც მისგან ველით პასუხს.

კ. ძამთარაძე.

## საბჭოთა რუსეთი და განაპირა სახელმწიფოები.

არავის არ სჯეროდა ბოლშევიკების გულწრფელობა ერთა თვითგამორკვევის საკითხში.

ერთა თვით გამორკვევა დროული ლოზუნგი იყო, რომლითაც ბოლშევიკები მცირე ერების გულის მოგებას და დროებითი მთავრობის მიმართ ოპოზიციას ბანაკში გადმოყვანას აპირებდენ. შეიცვალა მდგომარეობა და ბოლშევიკებმაც თავისი ლოზუნგი დაივიწყეს. უკანასკნელი ლენინის აფორიზმი ამბობს: „არა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი, არამედ მშვიდობა ქოხებს, ომი სასახლეებს.“ თუ ბოლშევიკურ პოლიტიკურ ხაზს მივიღებთ მხედველობაში ეს აფორიზმი ნიშნავს: უკონტრიბუციო ზავი პროლეტარიატმა (რუსეთისამ), რომელმაც ძალა-უფლება ჩაიგდო ხელში, მიიღებულია. განთავისუფლებულმა პროლეტარიატმა უნდა განათავისუფლოს სხვა ქვეყნების პროლეტარიატი.

ამისათვის კი კომუნისტური მთავრობა იმპერიალისტურ ომებს აწარმოებს, წითელი ჯარის სარდლები კი ნაპოლეონისებურ ბრძანებებს იძლევიან: ეს და ეს ქალაქი აღებულ უნდა იქმნას.

საზღვარ გარეთიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ბოლშევიკები გაძლიერებულ აგიტაციას ეწევიან ბოლშევიკური განწყობილების შესაქმნელად განაპირა სახელმწიფოებში.

ასეთივე აგიტაციას, როგორც ოფიციალური ცნობა მოწმობს, ჩვენს რესპუბლიკაშიაც აქვს ადგილი. ტენდენცია მთლიანი და განუყოფელ, პროლეტარული, რუსეთის აღდგენისა ძლიერია ბოლშევიკებში.

ისინი შეიარაღებული ძალით იპყრობენ იმ ტერიტორიას, რომელიც ოდესღაც მეფის მთავრობას ემორჩილებოდა. უკანასკნელათ წითელმა ჯარმა ბუხარა დაიპყრა და ბუხარის მთავრობა იძულებული იყო ავღანისტანში შეეფარებინა თავი.

შესაძლებელია, რომ პოლონელებთან ზავის შეკვრის შემდეგ გაძლიერდეს ბოლშევიკების მოქმედება აღმოსავლეთში. პოლონელებთან ომის დროს ეს მოქმედება შენელდა, რადგან ბოლშევიკების მთელი ყურადღება პოლონეთის ფრონტზე იყო მიპყრობილი.

ბოლშევიკებს იმედი ქონდათ პოლონეთის ტერიტორიის დაპყრობით ცენტრალურ ევროპაში კომუნისტური ცეცხლის დანთების, საიდანაც კომუნისტური რევოლიუციის ნაპერწკლები მთელ ევროპას მოედებოდა. ბოლშევიკებს კარგათ ქონდათ გათვალისწინებული თუ რამდენათ მნიშვნელოვანი ხასიათი ექნებოდა მათ გამარჯვებას პოლონეთზე და ამიტომ მოახდინეს მთელი ძალების მობილიზაცია.

მაგრამ პოლონელი ხალხის ერთსულოვნებამ დაამსხვრია კომუნისტური გეგმები და კომუნიზმმა ვერ მოახერხა შეჭრა ცენტრალურ ევროპაში.

ახლა, პოლონელებთან ზავის შემდეგ, ბოლშევიკები განაახლებენ თავის მოქმედებას სპარსეთში და რუსეთის განაპირა აღმოსავლეთის ქვეყნებში.

თუ მართალი გამოდგა გაზ. „ხრონოსის“ ცნობა, რომელიც ჩვენი გაზეთი დღევანდელ ნომერში გვაქვს მოთავსებული, ბოლშევიკები შეეცდებიან გააძლიერონ თავისი მოქმედება ამიერ-კავკასიაშიც. ამიტომ ჩვენ უნდა ველოდეთ კომუნიზმის ახალი ტალღების მოწოლას და მზად უნდა ვიყვეთ.

ასეთი შეტევა კომუნიზმისა, ხან ერთი ხან მეორე მიმართულებით, მიუხედავათ მიზნების სხვა და სხვაობისა, პერიოდულათ მეორდება და მომავალშიც განმეორდება. კომუნიზმი ცდილობს გარღვიოს ის რკინის სალტები, რომლითაც ის მოკავშირეებმა შეკრა; ამისათვის მას სხვა და სხვა გზა აქვს: ან აიძულოს მოკავშირები სცნონ საბჭოთა მთავრობა, ან შეიარაღებული ძალებით გაარღვიოს მტერთა რკალი არის მესამე გზაც—მოკავშირეების მიერ თავისი კეთილი სურვილით საბჭოთა მთავრობის ცნობა, მაგრამ ჯერ-ჯერობით მოკავშირეები არ აპირებენ ამ გზაზე დადგომას. პირველ ორ შემთხვევაში საბჭოთა მთავრობას განაპირა სახელმწიფოებთან ექნება საქმე და მისგან ამ სახელმწიფოებს მუდმივათ საფრთხე მოელის.

ამ მუდმივ შიშიანობას და საფრთხეს ბოლო უნდა მოეღოს ვერავითარი ხელშეკრულობანი საბჭოთა რუსეთთან ამ რესპუბლიკებს დამოუკიდებლობის ხელუხლებლობის გარანტიებს ვერ მისცემს.

ბოლშევიკებმა კარგა ხანია შეითვისეს, რომ არგუმენტი მხოლოდ ძალაა და შექმნეს დიდი მილიტარისტული ლაშქარი.

ამ ძალის წინააღმდეგობას ვერ შესძლებს ცალკე, რუსეთიდან გამოყოფილი სახელმწიფოები, ამიტომ საჭიროა ამ სახელმწიფოთა კონფერენცია თავდაცვითი კავშირის შესაკრავად

კავშირი მხოლოდ თავდაცვითი უნდა იყოს, ვინაიდან ჩვენ წინააღმდეგი ვართ აგრესიული პოლიტიკის

საქართველოს მისიამ, რომელიც პოლონეთში გაემგზავრა უნდა დასვას ეს საკითხი პოლონეთისა და ბალტიის სახელმწიფოების წინაშე.

ე—ნი.

## ქრონიკა.

მუშაობის დაწყება სახელმწიფო დაწესებულებებში. შრომის სამინისტროს ცირკულიარი [illegible] ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს. ამით ცხადდება სახელმძღვანელოდ 23 სექტემბრის ა. წ. დადგენილება: 1) 1 ოქტომბრიდან სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობა სწარმოებდეს დილის 9 საათიდან შუადღის 3 საათამდე, 2) შემდეგისათვის მიენდოს შრომის სამინისტროს განსაზღვროს მუშაობის [illegible]ბის ნორმალური დრო სახელმწიფო დაწესებულებათათვის.

30 სექტემბერს ქალაქის საავადმყოფოში იყო 120 ავადმყოფი, კიდევ მოიყვანეს 8, მორჩა და გამოეწერა 2, სხვა საავადმყოფოში გადაიყვანეს ერთი, გარდაიცვალა 4, დარჩა 121 ავადმყოფი.

მათ შორის იყო პარკ. ტიფით ავადმყოფი 2, მუცლის ტიფით 12.

29 სექტემბერს ქალაქში შავი ჭირით ავად გახდა ერთი კაცი.

ქალაქის გამგეობამ ქალაქის ქართულ სკოლაში მასწავლებლად დანიშნა: მ. შარაშიძე, ნინო ლორთქიფანიძე, თ. ცხაკაია და ქართ. მუს. სკოლაში [illegible]ულის მასწავლებლად მემედ ეფენდი ვერ[illegible]ძე.

30 სექტემბერს დილით საგანგებო მატარებლით კარლ კაუცკისთან ერთად თბილისში გაემგზავრა მიწათ მოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი, რომელიც ორი დღის წინათ ქ. ბათუმში ამოვიდა.

დღეს, 2 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე საკრებულოს დარბაზში დამფუძნებელი კრების წევრი ბიკტორ თევზაია წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: საქართველოს საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა.

კვირას, 3 ოქტომბერს დილის 10 საათზე ელექტროთეატრ „კინო-პალასში“ დანიშნულია ბინების და მაღაზიების დამქირავებელთა კავშირის წევრების საზოგადო კრება ასარჩევია ახალი გამგეობა, სარევიზიო კომისიის წევრები და სხვა.

ქალაქის გამგეობამ მოხსენება წარუდგინა ქალაქის საბჭოს ბათუმის საბინაო მომრიგებელი კამერის შესახებ, რომელშიაც მოითხოვს ზემოხსენებული კამერის გაუქმებას. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ აღნიშნული კამერა ქალაქს უჯდება თვეში ასი ათას მანეთზე მეტი, ის დაარსებული იყო, მაშინ როცა ბათუმში საოკუპაციო მთავრობა არსებობდა და ქალაქი განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებოდა, ამჟამად პირობები საგრძნობლად შეიცვალა. ქალაქში არსებობს საბინაო კომისია, რომელიც უფრო ფართე უფლებებით არის აღჭურვილი და არსებული მომრიგებელი კამერა ფაქტიურათ აღარ მოქმედობს.

ქალაქის მოსამსახურეთა შტატის შემცირების კომისიამ მოქმედება უკვე დაიწყო, იკვლევენ თვითეულის მოსამსახურის მოვალეობას და ყველა საქმეებს, რაც მათ მიერ კეთდება. კომისია მუშაობა დაასრულებს დაახლოებით ორ კვირაში, რომლის შემდეგ თავის მოხსენებას წარუდგენს ქალაქის გამგეობას კომისიაში შედიან; გამგეობის წევრი თავმჯდომარე კ. ა. გოგოლაძე, სარევიზიო კომისიის წევრი ბ. ჭედია, საბჭოს მდივანი ვ. მ. ჩხაიძე და გამგეობის მდივანი კ. ა. ფირცხალაიშვილი. ჩვენ დაწვრილებით არ ვიცით თუ რა გამოარკვია კომისიამ, მხოლოდ ის კი ცხადია, რომ ქალაქს ბევრი არა საჭირო და უსაქმური პირები ყავს თავიანთ დაწესებულებებში, რომლებიც კომისიის მიერ ალბათ შეუმჩნეველი არ დარჩება

საგანგებო კომისარმა სახელმწიფო დაწესებულებაში მოსამსახურე ბათუმის კოოპერატივის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში სხვათა შორის აღნიშნა, რომ აღნიშნული კოოპერატივის გამგეობამ სამი დღის ვადაში მოახდინოს წევრთა რეგისტრაცია. სახელმწიფო მოსამსახურეთა პროფ. კავშირის გამგეობას ევა-

ლება 5 ოქტომბერს მოიწვიოს კოოპერატივის წევრთა საზოგადო კრება ახალი გამგეობის და სარევიზიო კომისიის ასარჩევათ, მოახდინოს აგრეთვე წევრთა გადასინჯვა ახალი გამგეობამ სარევიზიო კომისიის თანდასწრებით დაუყოვნებლივ უნდა ჩაიბაროს ზემოხსენებული კოოპერატივი და მისი მოქმედება განაახლოს.

ბათუმის ოლქის კომისარი პატაკით აცნობებს საგანგებო კომისარს, რომ ზემო-აჭარის რაიონში გაჩენილა საქონლის ჭირი. საგანგებო კომისარის განკარგულებით მიღებულია სწრაფი ზომები ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

სამხედრო საცენზურო კომისიის თავმჯდომარე აცნობებს საგანგებო კომისარს, რომ თანახმათ სამხედრო უწყების ბრძანებისა სამხედრო ცენზურა გაუქმებულია.

ბათუმის ქალაქი მილიციის უფროსის განკარგულებით 30 სექტემბერს დაატუსაღეს გვარდიელი ამირამან პართენისძე ლონაძე, რომელსაც ბრალი ედება მასში რომ გამოსტყუა ოფიცერ ჯაფარიძეს სხვების ფულები და მიითვისა.

## ქალაქის საქმეები.

### საავადმყოფოში

30 სექტემბერს საღამოს ქალაქის საავადმყოფოში შეიკრიბა სამეურნეო კომიტეტი, რომელიც შესდგება ექიმებისა, ფერშლებისა და სანიტარების წარმომადგენელთაგან. დაესწრო ამ დარგის გამგე გამგეობის წევრი ლ. ვ. ქორქაშვილი. საავადმყოფო ღარიბათ არის, თუმცა რაც აქვს, ის წესრიგზე და ლამაზად მოწყობილი მოსჩანს.

კომიტეტის სხდომაზე გამოირკვა, რომ საავადმყოფო ახლა ვალებს სტოვებს: თითო ავადმყოფის შესანახი დღიური ხარჯი არის—513 მ., გახდევინებთ კი ავადმყოფებს დღეში 200 მან კომიტეტმა დაადგინა: აიღიდდეს გადასახადი ამ რიგათ: ტერაპევტიულ განყოფილებაში დღეში—300 მან., ქირურგიულში—400 მან., რადგანაც, როგორც ვიცით, ქირურგიულ განყოფილებაში წამლობა მეტ ხარჯს ითხოვს, ამ გადასახადის შემოღება მართალია მთელ ხარჯებს ვერ დაფარავს, მაგრამ ცოტათი მაინც ასწევს შემოსავალს.

მოსამსახურე ქალები საავადმყოფოში 24 საათს მუშაობდენ მორიგეობით; სამაგიეროთ 24 საათს ისვენებდენ კომიტეტმა შესცვალა ეს წესი: მოსამსახურე ქალები იმორიგებენ 12 საათს და დაისვენებენ 12 ს. ამ წესის შემოღების შემდეგ მოსამსახურეთა შტატს სამი მოაკლდება. საავადმყოფოში ხშირათ თურმე იკარგებოდა თეთრეულობა. კვირაში ერთხელ სწარმოებდა რევიზია და როცა აღმოჩნდებოდა დანაკლისი ახდევინებდენ ამას მოსამსახურე ქალებს საერთო პასუხისმგებლობით. კომიტეტმა ახლა შემოიღო მორიგეობის გათავებისას მიღება ჩაბარების წესი ხელწერილით. ამის შემდეგ პასუხს ის მოსამსახურე აგებს, ვისი მორიგეობის დროსაც დაიკარგა თეთრეულობა.

საავადმყოფოს ბევრი სჭირდება მწვანილეულობა და ბოსტნეულობა. საყიდლად ეს ძვირია. კომიტეტმა გადასწყვიტა მოაწყოს საკუთარი ბოსტნები საავადმყოფოს ახლო.

გაირჩა სხვა წვრილი სამეურნეო საკითხები და გამოტანილ იქნა დადგენილებები საავადმყოფოს ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად.

## ქალაქის ელექტრონის სადგურზე.

ამ დარგის გამგემ გამგეობის წევრმა ლ. ქორქაშვილმა უკვე დაათვალიერა ელექტრონის სადგური და იმისი ანგარიშები. ირკვევა რომ ელექტრონის სადგური ვალებს სტოვებს ლ. ვ. ქორქაშვილმა აღნუსხა შემოსავალ-გასავალი და ახლო მომავალში ეს მოხსენდება საბჭოს საფინანსო კომისიას მოსამსახურეთა შტატი მან შეამცირა ოთხი კაცით, რაც წლიურად 786 ათას მანეთს გადაარჩენს.

საჭირო არის სინათლის ფასის მომატება და მით შემოსავალი აიწევს, 28 სექტემბერს ელექტრონის სადგურზე შეიკრიბა ლ. ვ. ქორქაშვილის თავმჯდომარეობით კომისია, რომელსაც მიენდო მუშებისათვის ინსტრუქციის შედგენა.

სადგურზე არის ცხელი წყალი, რომელიც ახლა ტყვილად იკარგება. ახლო მომავალში გადაწყვეტილია გაკეთდეს აბანო მუშებისათვის, რისთვისაც მოყვანებული იქნება ეს წყალი.

### ქალაქის წყალსადენის საქმე.

წყალსადენის მდგომარეობა და ანგარიშები შემოსავალ-გასავალისა უკვე დაათვალიერა გამგეობის წევრმა ლ. ვ. ქორქაშვილმა. ირკვევა, რომ ამ ხანად წყალსადენი შემოსავალს მცირეს იძლევა, ქალაქს აქედან ვალები ედება. თითონ წყალსადენს ესაჭიროება შეკეთება, რასაც 6—7 მილიონი მოუნდება ხარჯი როგორც ვიცით ჩვენ ქალაქს წყალი კარგი აქვს, ბუნებამ ხელი შეგვიწყო და წყალი დაღმართში მოდის მწვერვალიდან. ოღონდ აუზები ვერ არის დღეს ჯეროვანად მაგარი და წყალის 2|3 ნაწილი მიიპარება მიწაში. ამას დიდი შეკეთება ესაჭიროება. შეკეთება უნდა აგრეთვე წყლის საწურავ მანქანებს (ფილტრებს).

საჭიროა მოვუმატოთ ფასი წყალს: ახლა წყალი ბათუმში ძალიან იაფი არის, თუ ფულის კურსს შევხედავთ ახალი ტაქსა წყალზე ქალაქს მისცემს წლიურად 17 მილიონ მანეთ შემოსავალს.

საჭიროა აგრეთვე წყალსადენიდან მილის წაყვანა სასაკლაოზე, რომ სასაკლაოს წმინდა წყალი ჰქონდეს. საკითხი ახლო მომავალში საფინანსო კომისიაში გაირჩევა.

## მოქალაქეობის რეგისტრაცია.

კანონების გადამსინჯავმა კომისიამ მოქალაქეობის რეგისტრაციის შესახებ შემდეგი პროექტი შეიმუშავა: კანონ-პროექტით დაბადება ქორწილი და სიკვდილი აღინიშნება მეტრიკულ წიგნში, რომლებსაც აწარმოებს ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. დაბადება, ქორწილი და სიკვდილი უნდა აუწყოს სათანადო დაწესებულებებს მშობლებმა, ნათესავებმა, მახლობლებმა და თუ ასეთები მათ არ ჰყავთ, სახლის მეპატრონეებმა და დაწესებულების უფროსებმა. ქორწილის შესახებ განცხადება თვით ჯვარდაწერილებმა უნდა შეიტანონ. წიგნს ამის შესახებ ორ ეგზემპლიარში აწარმოებენ. მეორე ეგზემპლიარი გადაეცემა ნოტარიუსის არქივებს, რომელიც საოლქო სასამართლოებს ექვემდებარება. არქივებმა და სხვა ორგანოებმა დაინტერესებულ პირთ უნდა მისცეს დაწვრილებითი ამოწერილობა. ამასთანავე დაბადების, ქორწილის და სიკვდილის ყოველს შემთხვევაში შედგენილი იქნება სტატისტიკური ბარათი და შემდეგ ეს ბარათი გადაეგზავნება სტატისტიკურ კომიტეტს. დაბადების, ქორწილის და სიკვდილის კანონიერი დამამტკიცებელი არის მეტრიკულ წიგნიდან ამოწერილობა. ყოველ სარწმუნოების სამღვდელოებას ეკრძალება მღვდელთ-მსახურების შესრულება იმ პირების მიმართ, რომელთა შესახებაც კანონიერი სარეგისტრაციო ცნობები არ იქნება წარმოდგენილი ამ საქმეში დამნაშავენი დაისჯებიან სასჯელთა დებულების 29 მუხლის ძალით.

## მგზავრის დღიურიდან.

(ბათომიდან ქუთაისამდე.)

ღამის თერთმეტი საათია. მატარებელი, ხალხით გაჭედილი, მესამე ზარს ელოდება. საბილეთო კასა ჯერ კიდევ ღიაა და ბილეთის ასაღებათ რიგში აღარავინ დგას. აკაკის არ ეჩქარება. იცის რომ მატარებელი 11 ს. 20. წ აიდგამს ფეხს და ამხანაგებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის სადღეგრძელოს აუჩქარებლად მიირთმევს სამგზავრო ბილეთი ადრევე მოუმზადებია.

უკვე მესამე ზარია. მატარებელი ნელა შორდება ბათუმის სადგურს. მგზავრებში უზომო მხიარულებაა. აგერ-აგერ სიხარულით მოუთხრობენ შეგროვილ ხალხს კაუცკის ჩამოსვლის ამბავს. აღფრთოვანება ძლიერდება. ბევრს ლაპარაკობენ მუშათა სასახლეში გამართული საზეიმო კრებაზე. ყველის ახარებს კაუცკის მგრძნობიარე სიტყვა. იგონებენ ვლასა მგელაძეს, რომელმაც საუცხოვო სიტყვით მიმართა დიდებულ მასწავლებელს.

სწორეთ რომ ბედნიერები ვართ, რომ კაუცკის ნახვას ვღირსეთ, —ამბობს მოხუცი გლეხი.

— ბედნიერები, ვართ, სწორეთ ბედნიერები, ამბობს მეორე, რომ მიუხედავათ აუარებელი გაჭირვებისა, მიუხედავათ იმისა, რომ ურიცხვი მტერი ცდილობდა ჩვენი თავისუფლების გაქრობას, ჩვენი ფიზიკურათ განადგურებას, საქართველოს ხალხმა სძლია ყოველნაირი დაბრკოლება, გადაარჩინა თავისი ქვეყანა დაღუპვას და დღეს, ჩვენი სისხლით შეღებილი თავისუფლების წითელი დროშით პირნათლათ და გამოუთქმელი სიხარულით ვესალმებით ჩვენს დიდებულ მასწავლებელს.. ბედნიერია კარლ კაუცკი, რომელმაც თავისი თვალით იხილა მისი მოწაფეების ნაშენი თავისუფლება...

ამგვარ ლაპარაკში უკვე გავსცილდებივართ ქობულეთის სადგურს. ჩქარა მუსაიფმა სულ სხვა შინაარსი მიიღო.

— მე რომ შავი ჭირის საწინააღმდეგო არ ამიცრია?..

— ვერც მე მოვასწარი,—ამბობს მეორე.

ისე მგონია ვერ გაგვიშვებენ. დაუმატა მესამემ.

— ვეტყვი დღეს ჩამოვედი და ვერ მოვასწარი თქვა,—ჩაერია ლაპარაკში მეოთხე,

— ნუ თუ ნაცნობი არ აღმოჩნდება ის კაცი, რომელიც მოწმობას მოგვთხოვს, თვალს და გავეცნათ, ყველაფერი მოწყვება, თქვენ ჯავრი ნუ გაქვთ,—დაიმედა ევროპიულად გამოწყობილმა ხალხი, რომელიც მოზრდილი ყიპით ვაჭარს ჩამოგავდა..

. ნატანებსაც გავშორდით. უმოწმობო მოგზაურები დამშვიდებული სხედან. აწ არაფერი უშავს. შიში გაიფანტა. ყველა საწოლ ადგილს ეძებს, რომ თავისუფლად მოისვენოს. აქა იქ ხვრინვაც ამოუშვეს. მატარებელი გველივით მიიკლაკნება თბილისისაკენ, კონდუქტორი დროდადრო გამოშვებით სამგზავრო ბილეთებს შინჯავს. უკვე გათენდა.,.

— ბატონებო ახლა სადგურ რიონს უახლოვდებით, ვინც ქუთაისში მიდიხართ მოემზადეთ მეორე მატარებელში გადასაჯდომათ,-გამოუცხადა მგზავრებს კონდუქტორმა.

ჩქარა მეორე მატარებელში გადავჯექით. აქ მეტი თავისუფლებაა, მგზავრები აგერ-აგერ სხედან. რიონსაც გავშორდით მზემ თავისი სხივები მატარებელს სტორცხნა. ეტყობა წინა დღით აქეთ დიდი წვიმა ყოფილა.

ებრაელი ვაჭარი ხალხს თავის მოგზაურობის ამბავს მოუთხრობს.. გუშინ წინ იტალიიდან დაბრუნებულა. ეტყობა უკმაყოფილოა ვალიუტის შესახებ ჩვენი მთავრობის მიერ გამოცემული განცხადებით.—მისი ნაცნობი ვაჭრისთვის რამოდენიმე ათასი მანეთის გადამალული ვალიუტა ჩამოურთმევიათ.

— საქართველოს მთავრობა მუდამ ცდილობდა მისი ქვეყნის მცხოვრებთა საკეთილდღეოს, ამბობს მეორე ებრაელი ვაჭარი, ის ხალხის უმრავლესობის ნება-სურვილებს ეყრდნობა და თავისი ბრძნული პოლიტიკით უკვე საქვეყნოთ გაითქვა სახელი, ვალიუტის შესახებ ამგვარი კანონი ალბათ ამ ხალხთა უმრავლესობას საკეთილდღეოთ არის შემოღებული, მთელი ხალხის ინტერესებს ვაჭრების ინტერესებში ვერ გაცვლიან, სპეკულიატებს სახელმწიფოს ვერ დაანგრევიებენ.. მუსაიფი მატარებლის გაჩერებამ შეწყვიტა. დილის 9 საათზე უკვე ქ. ქუთაისში ვიყავით.

ტრ—ნი.

## მუშათა ცხოვრება.

ხუთშაბათს 30 სექტემბერს, შესდგა რკინის გზის რაიონულ გამგეობის სხდომა.

გამგეობამ მოისმინა თავმჯდომარე ყ ნინიძის მოხსენება:

მოხსენებიდგან გამოირკვა, რომ მისი შუამდგომლობა ცენტრალურ გამგეობის წინაშე, რათა უკანასკნელს აღეძრა შუამდგომლობა ვისთანაც—ჯერ არს, რომ მიეცეს თვითეულ მუშა მოსამსახურეს ათ-ათი ათასი მანეთი ავანსათ ცენტრალურმა გამგეობამ უარყო. აგრეთვე უარყოფილ იქმნა საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილება რათა ბათომის რკინის-გზის მუშა მოსამსახურენი შევიდნენ ქ. ბათომის პროფესიონალურ კავშირში. მიწათ მოქმედების მინისტრის მიერ ნება დართულია რათა „სულთანიეს“ ტყეში მუშა მოსამსახურეთათვის მოიჭრას 120 კუბ. საჟენი შეშა.

შემდეგ გარჩეულ იქმნა დღის წესრიგში დასმული კითხვები და თხოვნები.

1, ფურნის შესახებ გამგეობამ დაადგინა ძლევანდელი ფურნის უვარგისობის გამო აშენდეს ახალი, მაგრამ სანამ ახალი აშენდებოდეს მოახდინონ ბაზარში ორი ფურნის რეკვიზიცია.

2, სამხედრო უწყებაში მყოფი არდაგანის ყაზარმები, რომელიც იმყოფება გორიდოკში ეთხოვოს ვისაც ჯერ არს დაეთმოს რკინის გზელებს საცხოვრებლით.

3, მიწათ მოქმედების მინისტრს მიერ „სულთანიეს“ ტყეში მოცემული შეშის მოჭრის შესახებ და საერთოთ ამ კითხვის შესახებ არჩეულ იქმნეს კომისია თვითეული დარგიდგან თითო კაცი.

4, ტეხნიკოს ებანოიძის გადაყვანის შესახებ იქონია რა გამგეობამ მსჯელობა დაადგინა: ილიძრას შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ არს რათა ებანოიძე დარჩეს ბათომში, რადგანაც იგი, როგორც გამოცდილი ტეხნიკოსი და ენერგიული პიროვნება, ბათომში ძლიერ საჭიროა, მით უმეტეს როდესაც სასწავლებლის, კლუბის და სხვა შენობათა კითხვა ასე მოუწყობელია.

5, ვინაიდგან რკინის გზის მუშა მოსამსახურენი მალზე კრიტიკულ მდგომარეობაში არიან, ეხლა კი შემოდის ბაზარზე ახალი სიმინდი და სხვა სანოვაგე, რომელთა ცოტათი მაინც მომარაგება საჭიროა, მით უმეტეს, რომ სასურსათო კომიტეტი ვერ აკმაყოფილებს მუშა მოსამსახურეთა მოთხოვნილებას სავსებით, განმეორებით ეთხოვოს ვისაც ჯერ არს, რათა თითოეულ ბათომის რკინის გზის მუშა მოსამსახურეს მიეცეს ათ ათი ათასი მანეთი ავანსათ.

გ. ა—ბელი

# გერმანელი სოციალისტი რუსეთზე.

ფრანგულ გაზ. ,,ჟურნალ-დე-დება‘‘-ს სექტემბრის 11-ს ნომერში მოყვანილია ცნობილ გერმანელ სოციალისტის დიტმანის წერილის შინაარსი რუსეთზე. დიტმანი რუსეთში იყო გერმანიის დელეგაციის წევრად.

რუსეთის რევოლიუციის შემდეგ რამდენიმე გერმანელ მუშამ, მოხიბლულმა ბოლშევიკების და ენტების აგიტაციით, მიატოვა ლეიპციგი, ბერლინი და ჰამბურგი და წავიდა ვოლოგდის გუბერნიაში სამუშაოდ ამ მუშებ შეჰპირდნენ საექსპლოატაციოდ ფაბრიკას, ბინას და საზრდოს. როდესაც გერმანიაში ამ მუშების გაჭირვებული მდგომარეობა შეიტყეს გაჰგზავნეს დიტმანი მათი ცხოვრების გასაცნობად და გამოსაკვლევად. დიტმანი საშინელებამ შეიპყრო, როცა თანამემამულე მუშების საცხოვრებელი ადგილი ნახა.

ფაბრიკა, სადაც წინად 15 ათასი მუშა იყო, ეხლა ძლივს ხუთი ათასს ითვლიდა. არავითარი ორგანიზაცია არ იყო.

მანქანები ისე იყო გაცვეთილი, რომ ან უვარგისი იყო სამუშაოდ, ან და ძალიან ნელა შეიძლებოდა ამუშავება. ხელფასი თუ კი წინად 15 მანეთს უ რიდა საათში, ამ ბოლო დროს გადიდებულ იქნა 50 პროცენტით.

მაგრამ რა არის 12 ათასი მანეთი ჯამაგირად, როცა გირვანქა ერბო სამი ათას ხუთას მანეთად ფასობს და კარტოფილიც თითქმის ამდენადვე?—განუცხადა დიტმანს ერთმა მუშამ.

ჩვენ ყველანი სოციალისტები ვართ, უთხრეს მუშებმა დიტმანს, მაგრამ ჩვენი თვალით რომ ვხედავთ სოციალიზმის განხორციელებას რუსეთში სასოწარკვეთაში ვვარდებით. არა გვაქვს ბინა, შიმშილით ვკვდებით და ვოცნებობთ მხოლოდ სამშობლოში დაბრუნებას.

დიტმანის პირადი დაკვირვება ისეთია, რომ მოსკოვის მთავრობას არაფერი შეუძლიან შეჰქმნას გარდა საზარელ ბიუროკრატიზმისა. რევოლიუციამ, რომელსაც პრეტენზია აქვს პროლეტარულად იწოდებოდეს, რუსეთს მისცა მოხელეების უზარმაზარი კლასი.

600 000 კომუნისტში მხოლოდ 70.000 მუშაა, 162.000 წითელარმიელი ჯარის კაცი და 300.000 მოხელე, მილიტარიზმი არამც თუ აღდგენილია, არამედ შრომაშიაც მილიტარიზმია გამეფებული! გაფიცვები აკრძალულია. გაფიცულებს შრომის ფრონტის დეზერტირებთან ერთად ასახლებენ საკონცენტრაციო ბანაკებში.

— ეს უმცირესობის ტირანიაა უზარმაზარ, საბოლოოდ დაშლილ მხარეზე დიტმანის აზრით შეუძლებელია ევროპაში მსგავსის განმეორება.

რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურა კი არ არის პირიქით იქ არის საზარელი და ველური დიქტატურა პროლეტარიატზე.

# საბჭოთა რუსეთში.

კერძო მესაკუთრის ინსტიქტის წინაღმდეგ.

რაიონული საბჭოები დიდ ყურადღებას აქცევენ ბოსტნეულობის მოყვანის საქმეს. როგორც ირკვევა ამ ჟამად მუშავდება მხოლოდ 6000 დესატინა მიწა. ეს ცოტაა, ჩვეულებრივად ქარხნები, ფაბრიკები და სხვა და სხვა დაწესებულებები იღებენ მიწას და ყოფენ პატარა ნაჭრებათ, რის გამოც ვიღებთ ე. წ. პარცელიარულ მეურნეობას. მეურნეობის ასეთი წესი მიუღებელია, ვინაიდან ეს მხოლოდ აძლიერებს კერძო მესაკუთრის გრძნობას. ამის გამო რაიონებში დაიბადა აზრი საზოგადოებრივი მეურნეობის ერთეულების შექმნის შესახებ. (პეტრ. „იზვესტია“ 6 აგვისტო).

დზერჟინსკის გეგმა.

დზერჟინსკი—ბოლშევიკური ჩრეზვიჩაიკების სულის ჩამდგმელი, მოსკოვის სოვდეპში გამოვიდა ჩრეზვიჩაიკების რეორგანიზაციის პროექტით, რომლითაც ის მოითხოვს ყველა პოლიტიკურ საქმეების რევოლუციონ ტრიბუნალების ხელიდან ჩრეზვიჩაიკებისათვის გადაცემას. დზერჟინსკი სთვლის რომ დადგა მომენტი, როცა საბჭოთა მთავრობამ უსასტიკესი ტერორი გამოაცხადოს, ვინაიდან საბჭოთა რუსეთის არსებობა კრიტიკულ მდგომარეობაშია, ვინაიდან საბჭოთა რუსეთთან ბრძოლამ რუსეთის პროლეტარიატზე მსოფლიო ბურჟუაზიის თავდასხმის ხასიათი მიიღო.

ბოლშევიკები და ენვერი.

ბერძნული გაზეთი ,,ხრონოსი‘‘ იუწყება:

ბაქოდან მიღებული ცნობებით ბაქოში მოხდა თათბირი, რომელსაც დაესწრენ ბოლშევიკების წარმომადგენლები და ბერლინიდან ჩამოსული ,,ერთობა და პროგრესის‘‘ კომიტეტის წევრები თათბირზე გადაწყდა მოეწყოს ოთხი არმია, სპარსეთში, ავღანისტანში, თურქესტანში და სომხეთში სამოქმედოდ.

ამ ჯარების უფროსები იქნე იან- 1 არმიის-ხალილ-ფაშა; 2-ლი—ენვერი; მე-3-ის—ნური-ფაშა და მე—4-ის ჯემალ-ფაშა, სირიის ტრაღედიის გმირი.

ბოლშევიკები ყოველგვარ დახმარებას დაპირდენ ახალ არმიებს.

კომუნისტური პარტიის სტატისტიკა.

გერმანიის რეიხსტაგის წევრმა დიტმანმა დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატთა ყრილობაზე შემდეგი ოფიციალური სტატისტიკა მოიყვანა კომუნისტური პარტიის შემადგენლობის შესახებ:

სულ კომუნისტური პარტიას 604.000 წევრი ყავს; ამათგან 318 ათასი, ე. ი. 53%, შეადგენენ ,,წითელ მოხელეებს, მსახურებენ სახელმწიფო საზოგადო დაწესებულებებში; 162 ათასი, ე. ი. 27%,—მსახურებს წითელ ჯარში; 36 ათასი, ე. ი. 6%, მსახურობს პარტიულ ორგანიზაციებში; 70 ათასი, ე. ი. 11%, —მუშებია; 12 ათასი, ე. ი, 2%,—მუშათა ორგანიზაციებში მსახურებს; 6 ათასი, ე. ი. 1% ვაჭრობის საქმეს ემსახურება. დიტმანი უმატებს: უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი კომუნისტურ პარტიაში რწმენით კი არა, არამედ შიმშილით რომარ მომკვდარიყო იმიტომ ჩაეწერათ.

სპეკულიაცია.

ყოფილმა წითელმა ,,გლავკოვერხმა‘‘ კრილენკომ, რომელსაც ამ ჟამად ,,საბჭოთა რესპუბლიკის მთავარი პროკურორის‘‘ პოსტი უჭირავს, საბჭოთა მთავრობას წარუდგინა, მოხსენება სპეკულიაციის შესახებ, რომელიც კრილენკოს ცნობით ფართე ხასიათს იღებს.

თავის მოხსენებაში ,,მთავარი პროკურორი‘‘ სწერს, რომ ,,სპეკულიაციის ბაზარი ამ ჟამად მეორე წყარო რესპუბლიკას რომ ასაზრდოებს. იმ დროს, როცა მოხდა ნაციონალიზაცია მსხვილი წარმოების, და ყველა ბურჟუაზიის მიერ მომარაგებული სიმდიდრე გამოილია, დგება კითხვა მოწოდების წყაროების და სპეკულიაციის ფორმების შესახებ‘‘. შემდეგ კრილენკო სწერს; ,, ბითუმათ სპეკულიაციის წყარო და საქონლის ბითუმად მომხმარებლები არის საბჭოთა მოსამსახურეები. საბჭოთა საწყობების რევიზიის შედეგებიდან ირკვევა, რომ არ მოიპოვება სწორი ცნობები საქონლის რაოდენობის შესახებ. მოვახდინეთ რევიზია „გლავკების“ და „ცენტრების“ რიგის და ყველგან ერთი და იგივე სურათი იშლება: სურსათ სანოვაგე და საქონელი სტიქიურად ქრება საწყობებიდან და შუამავლების და სპეკულიანტების საშვალებით ისევ საბჭოთა საწყობებში მოდის.

ამ რიგად იძულებითი განაწილებამ ჯერჯერობით ბათუმობით სპეკულიაციამდე მიგვიყვანა. მაგრამ წვრილი სპეკულიაცია საბჭოთა რუსეთში დღითი დღე იზრდება‘‘

# ყირიმში.

სევასტოპოლის კომენდანტის ბრძანება

I

წყალქვეშა ნავის ,,იხვის‘‘ მეზღვაურები ფედორ კუზმას ძე გრუდიჩევი, მოტორისტები ნიკოლოზ ივანეს ძე ოლენიკოვი და გრიგოლ ტიხონის ძე გრიგორიევი, რომლებიც შემჩნეული იქნენ ბოლშევიკურ აგიტაციაში ხსენებულ ნავის მეზღვაურებ შორის, ბოლშევიკური წყობილების და მოღვაწეობის მუდმივ ქებაში, რუსული არმიის გაკიცხვაში და აგრეთვე მიღებულ ცნობების გამო, რომ ხსენებულ პირების განზრახვა აქვთ ჩაიგდონ ხელთ ნავი ზღვაში გასვლის შემდეგ, ოდესაში მიიყვანონ, ბოლშევიკების მხარეზე გადავიდენ, ოფიცრებთან კი თავისებურათ გაასწორონ ანგარიშები, გაგზავნილი იქნან საბჭოთა რუსეთში

ამ ბრძანების აღსრულება 3 დღის განმავლობაში ევალება სევასტოპოლის ქალაქის სტრაჟის კომენდანტს, რომელმაც ხსენებული გრუდიჩევი, ოლენიკოვი და გრიგორიევი უნდა გააგზავნოს პ რეველი საარმიო კორპუსის შტაბის კომენდანტის განკარგულებაში, საბჭოთა რუსეთის საზღვრებში გადასაგზავნათ და შესრულების შესახებ მაცნობოს მე

II

ქალაქ სევასტოპოლის მცხოვრებნი—ბაღჩისარაის „მეშჩანები“ არონ სიმონოვი და დინა კიზელშტეინი, როგორც საბჭოთა წყობილების და ინტერნაციონალის მომხრეები, რომლებმაც არ იციან სამშობლო და საშიში არიან სახელმწიფოებრივ წესრიგისათვის და საზოგადოებრივ მშვიდობიანობისათვის გადასახლებული იქნან საბჭოთა რუსეთში.

ციხის კომენდანტი და გარნიზონის უფროსი გენ.—ლეიტ სტოგოვი.

# შორეულ აღმოსავლეთში.

,,ტაიმსის‘‘ კორესპონდენტი 7 სექ. თარიღით იუწყება ტოკიოდან შემდეგ ცნობებს შორეულ აღმოსავლეთში მდგომარეობის შესახებ:

იაპონელებმა ზაბაიკალიე დასტოვეს, მაგრამ მათი ნაწილები ზღვის პირის ნაწილებში, ქ. ხაბაროვსკში და ვლადივოსტოკში დარჩენ ჩრდილო სახალინი მტკიცეთ უჭირავთ იაპონელებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ოკუპაცია არ არის ანექსია.

ამ ჟამად აღმოსავლეთ ციმბირში ხუთი მთავრობა არსებობს: 1) ვლადივოსტოკში გენ. ბოლდირევის მეთაურობით, მთავრობაში შედიან ბურჟუაზიული ჯგუფები, მენშევიკები და კომუნისტები (?) მთავრობის ძალა უფლება ვრცელდება მხოლოდ ზღვის პირის ოლქზე ამ ბოლო დროს ემჩნევა ბოლშევიზმის გაძლიერება და ამიტომ იაპონელები უიმედოთ თვლიან მთავრობის ბედს 2) ზემო-უდინსკის მთავრობა, რომლის გავლენა ვრცელდება დასავლეთით ამ ქალაქიდან. მთავრობის სათავეში დგას ბოლშევიკი კრასნოშჩეკოვი. ამ მთავრობას ეხმარება მოსკოვი, რომ მით გაიადვილონ საბჭოთა პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთში 3) ატამან სემიონოვის მთავრობა ჩიტაში, რომელიც თავის თავს კოლჩაკის მემკვიდრედ სთვლის და გარკვეულ ანტი-ბოლშევიკურ პოლიტიკას აწარმოებს მისი ძალა უფლება ვრცელდება ზემო-უდინსკიდან აღმოსავლეთით. როდესაც იაპონელებმა ზაბაიკალიე დასცალეს, გენ. სემიონოვმა თავისი მთავრობა დაურიაში გადმოიტანა. 4) ბლაგოვეშჩენსკის ამკარათ ბოლშევიკური მთავრობა, რომელიც უსათუოდ შეუერთება ზემო-უდინსკის ბოლშევიკურ მთავრობას ამ მთავრობის ძალა-უფლება ვრცელდება ე. წ. პრიამურიეზე. 5) ხაბაროვსკში ქალაქის თვითმართველობამ უარი სთქვა ვლადივოსტოკის მთავრობის ცნობაზე, გამოეყო მას და იაპონელებს სთხოვს დახმარებას ხაბაროვსკის მთავრობის ბედი მომავალში გამოურკვეველია. ყველა ცდა ამ მთავრობების შეთანხმებულიყვენ ამაოთ ჩაიარა.

(„როსია“ № 24)

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან.

სარედაქციო კოლეგია.

ელექტრო-მბეჭდავი სტ. მპა ხ. ჭ. შმაევსკისა მ ხაილოვის ქ. № 21, ქ. ბათუმი.